



ვისხატანებ ჭანკოშტაძე

ისეგრეთ



გორი 2004 წელი

ვასილ ვასილასი

ი ბ ა მ ე თ


(საბავშვო ლექსები)

ბამოცემა მორა

თბილისი 2009



ვანტანგ ჭანკოტაძე



დაიბადა 1933 წელს ქ. თელავში. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მინიჭებული აქვს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ვანტანგ ჭანკოტაძე ავტორია მრავალი სამეცნიერო შრომისა და გამოგონების. გამოქვეყნებული აქვს სამასზე მეტი პუბლიცისტური წერილი.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო გვიან. მის კალამს ეკუთვნის: “შხიარული რითმები” (ორსტრიქონიანი კაფიები), “ლეგენდები” (ლექსად), “ბედისწერა” (სენტიმენტალური რომანი).

მზად აქვს გამოსაშვებად: რჩეული ლექსების კრებული, მოთხრობები და ნოველები, ასევე ორიგინალური ჟანრის ჩანაწერები სახელწოდებით "ცუნცულას ტელეპათიური თავგადასავლები".

ჩემი ანგარიში!

*მოუფლო სიკეთესხდომს თუადანი შენსკერ შექმინა,
სუფთაობისა - ვიფო ხან, თუ ვაქი ხან,
ერთი დიუქსსაც ქი, თუ ისწავადი შენინადა,
მე ჩაგადანი, რომ უკვე შევთხარი ხან.*

*შენთვის ქართულითი უცნაობი
ვანტანგ*

ავტორი უღრმეს მადლობას უხდის ახალგაზრდობის საქმეთა ცხინვალის დეპარტამენტს და მის ხელმძღვანელს სოსო ვანტანგიშვილს, რეზო აბრამიშვილსა და არტემ მერუბაშვილს წიგნის გამოშვებაში აღმოჩენილი დახმარებისათვის.

რედაქტორი: აკაკი ბიძინაშვილი

მხატვარი: ვანო ვანიშვილი

ავტორი სიამოვნებით მიიღებს ბავშვების სურათებს მეორე გამოცემისათვის

ტელეფონი: 7-81-81; (893-62-17-56)



გამრჯე ბავშვები

გადავწყვიტეთ ბავშვებმა,
გავამწვანოთ ეზო,
სამუშაოდ გავედით,
ბადრი, ნინო, რეზო.

ნარგავები ვიშოვეთ,
ჩავამწკრივეთ რიგში,
როცა გაიზრდებიან,
ვითამაშებთ ჩრდილში.

ხილიც არ მოგვაკლდება,
უნდა ოთხი წელი,
გვპირდებიან მშობლები,
შეგვაშველონ ხელი.



თოვლის ბაბუა

გარეთ ყინვაა, ქარბორბალა,
ბუნება ტირის,
თოვლის ბაბუას მოეყინა
სტაფილოს ცხვირი.

პატარა

გამართულად ვკითხულობ,
მაგრამ ცუდად ვწერ.
რატომ გიკვირთ დიდებო?
პატარა ვარ ჯერ.

მისალოცი

მოგილოცავთ ბავშვებო,
დღეს ახალი წელია,
ყველა ხარობს გარშემო
თვით კუდგრძელი მელიაც.

თოვლის პაპა

თვალებს რული მოეკიდა,
ჩაეძინა ნინიკოს;
დილით დედას ეკითხება,
"ღამე ჩვენთან ვინ იყო?"
თოვლის პაპა შემობრძანდა
დიდი წნული კალათით,
ჩურჩხელის და თაფლის გარდა
დაგიტოვა ბარათიც:

"ნაძვის ხეზე ნათურები
ინთებოდა, ქრებოდა,
მოგიტანე საჩუქრები,
შენ კი ჩაგძინებოდა".



ეზოს ფეხბურთელები

ვახო, ბურთი მომაწოდე,
გავიტანო გოლი,
სადაცაა დაბნელებია,
არის ნოლით-ნოლი.

ბურთმა რკალად გადაკვეთა,
"საჯარიმოს" ზოლი,
გიამ თავი დაარტყა და
გახდა ერთით ნოლი.

ბუტია თამუნია

დღე არ გავა ჩემთვის ისე,
მასთან რომ არ მივიდე,
უიმისოდ ვერც ვთამაშობ
და ვერც რამეს მივირთმევ.

ის კი ახლოს არ მიკარებს,
ბუტიაა თამუნა,
ორივესთვის მისცეს თხილი,
მარტომ შეახრაბუნა.

არდადეგებზე

არდადეგებს ველოდები
დიდი სიხარულით,
სოფლად წავალთ ბებიასთან,
გაიხარებს გულით.

დილით საკენკს მოვიმარჯვებ,
შევალ საქათმეში,
მერე ბატკნებს გამოვრეკავ
გავუძღვები ტყეში.

პაპა გამიმასპინძლდება
გემრიელი ვახშმით,
შემდეგ პირს ჩავიტკბარუნებ
თხილითა და ვაშლით.

აივანზე დავიძინებ,
გვერდს არ ვიცვლი ღამით;
მათ ვუყვარვარ, მეც ვამაყობ
ბებიით და პაპით.

ია



ბუჩქის ძირას თავი მოსწონს,
ლურჯთვალეა იას,
გაზაფხულის სურნელ მაცნეს,
ისფერ ბაფთიანს.

აღრიანად გაიღვიძა,
მზეს დაასწრო წამით,
პირი სწრაფად დაიბანა
დილის გრილი ნამით.

ინაზა და იკეკლუცა,
მოფიცხებულ მზეზე,
ჩაეძინა როცა მთვარე
დაეკიდა ხეზე.

ახალი წლის შესახებდრად

დედა ჩქარა გადამაცვი,
საახალწლო კაბა,
სადაცაა მოგვაკითხავს,
ტკბილი თოვლის პაპა.

სასკოლო დავალება

შევასრულე დავალება,
მზე დავხატე ერთი ფერით,
მერე ჩანთა ავიღე და
სკოლისაკენ ჰერი-ჰერი.

პატარა მხატვარი

უცნაურად ძერწავს გია,
სულ სხვაგვარად ხატავს,
ნეტავი ვის გაუგია,
რქები ჰქონდეს კატას.



პაპის ბაღში

მიყვარს პაპის ბაღ-ვენახში,
მოკრეფილი ხილი:
ვაშლი, მსხალი, ალუბალი,
ლეღვი, მარწყვი, თხილი.

საახალწლოდ

საახალწლოდ ნაძვისხისთვის,
გვინდა ბევრი სათამაშო,
მოვიწვიოთ კლასელები,
ვალხინოთ და ვათამაშოთ.




ჭიაკოკონა

მოიტანა ფიჩხი, შეშა,
ბიჭუნამ თუ გოგონამ,
და დავანთეთ დიდ ეზოში,
დი...იდი ჭიაკოკონა.

ყურძნის მტევნები

პაპამ ანას შეურჩია,
ყურძნის სამი მტევანი,
მან კი ერთი გოგის მისცა,
ერთი კიდევ ლევანის.




არწივი

გაჩენილია ღმერთისგან,
მალლა, ცის ახლოს საფრენად,
იგი ფრინველთა მეფეა,
არწივი ჰქვია სახელად.

პლაჟზე

მოდით ერთად ავაშენოთ,
სათამაშო ხიდი,
გუშინწინ რომ ავაშენეთ,
მასზე უფრო დიდი.



ზამთარი

გავიხარეთ ბავშვებმა,
დიდი თოვლი მოვიდა,
ვიგუნდავებთ ეზოში,
როცა მოვალთ სკოლიდან.

ნაძვის ხე

საახალწლო ნაძვის ხე,
ერთად მოვრთეთ ყველამ:
თიკამ, ეკამ, მარინემ,
თორნიკემ და გელამ.

"ბურთა"

მარტში ვარ დაბადებული,
თუმც დამჯერი და თბილი ვარ,
შიმშილით შეწუხებული,
სადილზე ვფიქრობ დიდიდან.

მე "ბურთა" რატომ მიწოდეს?
სულ ორი სიტყვით მოვყვები,
ბურთივით თავით მიცნობენ,
და კიდევ მრგვალი ლოყებით.

ჩემს სურვილს ყველა გებულობს,
სასუსნავს ვეძებ თვალებით,
საკვებს იმდენსა ვლებულობ,
მძიმედ ვხტუნაობ – წვალებით.


საჭმელი ბევრჯერ მინდება,
თითი არ მყოფნის სათვლელად,
"მადა ჭამაში ვლინდება",
პირს მაკერია სათქმელად.

ანა

ანას უყვარს გაკვეთილის
თავის დროზე სწავლა,
ძილის წინ კი ბებიასთან,
ღია ცის ქვეშ გავლა.

სკოლის ჩანთა

ნინო დედას ეხმარება,
სახლის წმენდა-მოვლაში,
მოსწონს, როცა მძიმე ჩანთა,
თვითონ მიაქვს სკოლაში.



კატას თუ მელიას?

ერთ შეკითხვას უპასუხეთ,
ეს არც ისე ძნელია,
კატას უფრო უყვარს თევზი,
თუ გრძელკუდა მელიას?

ჩვენი ტკბილი ბებია

ბებია ნაზი თივთიკით,
თათმანებს უქსოვს პატარებს,
შვილიშვილების ტიკტიკი,
ახალისებს და ახარებს.

ღათვი

ღათვა მუხის ფესვებ ქვეშ,
გამოთხარა ბუნავი,
ზამთრით მხოლოდ სძინავს და
თათს ილოკავს – მსუნავი.


ბებუის კალთა

"კუკუმალობის" თამაშობით,
ერთობა ეზო,
ირინე სადღაც დაიმაღლა,
დაეძებს რეზო.
როცა დადგება დასამაღლად,
რიგი რეზოსი,

ირინე ყველა კუთხეს ნახავს,
კუნჭულს ეზოში.
ასე ირბენენ ონავრები
ალთა და ბალთა,
დაღლილ-დაქანცულთ ელოდებათ
ბებუის კალთა.

კურდღელი

ტყეს არ ტოვებს კურდღელი,
ფეხმარდი და ყურგრძელი,
ბლომადა აქვს ხის ქერქი
სულ არ უნდა ყურძენი.



ღები

კბილი აწუხებს თეონას,
სოფოს მიმართა ჩივილით,
დაიკო რამე მიშველე,
ხომ იცი, რაა ტკივილი?

სოფომ ბებუას გაანდო,
"კბილი სტკივაო ერთ ვინმეს,
იქნება შენ მოურჩინო,
ნუ დაუძახებ ექიმებს".

ბებომ კალთაში ალერსით,
ლოყა გაუთბო იოლადა,
თეონას უცებ მოურჩა,
კბილი, რომელიც სტკიოდა.

ზამთარი და ბელურა


შეგაწუხა ზამთარმა,
ენატკბილო ბელურავ?
თოვლმა მიტომ დაგფარა,
ქოლგა რომ არ გეხურა?

დაიბერტყე ფიფქები,
ჩვენი ნუ გეშინია,
მასპინძლები ვიქნებით
მე და ჩემი ფინია.



შემოდგომა

მოდლებულა სიყვითლე,
ხეხილის მწვანე ფოთლებში,
საშემოდგომო დარია,
ქალაქებსა და სოფლებში.



ლამით სიცივე იგრძნობა,
დღისით მზე ათბობს ნეტარი,
მაღლე მთას თეთრად დაფარავს,
თოვლის ქათქათა ზეწარი.

ბარში ფუტკარი ზუზუნებს,
ზამთრისთვის იჭერს თადარიგს,
მოსავლის აღებისათვის
დიდიც, პატარაც მზად არის.

ნაყოფის სიმძიმისაგან,
ვაშლს დაუნრია ტოტები,
ქვევრში თუხთუხებს მაჭარი
თონეში ცხვება "შოთები".

ეზოში ქვაბი დაუდგავთ,
თათარას ხარშავს ბებია,
ვინ ელოდება ჩურჩხელებს?
ყველასთვის გასაგებია.

მოშლილი ტელეფონი

პირველმა უთხრა მეორეს,
"რაც გითხრა, გაიმეორე",
და ჩასჩურჩულა მალულად
სპორტული სიტყვა "მარულა".

თუ რა მოესმა მეორეს,
ამის გარკვევა ძნელია,
მესამეს ასე გადასცა:
"საქათმეს ეცა მელია".

მესამემ ცოტა იფიქრა,
სხვა რამე ვერ მოიფიქრა,
მეოთხეს ყურში ახალა:
"ყვავმა დაკარგა ბახალა".

არც აცია, არც აცხელა,
მეოთხემ დრო არ გაწელა,
მეხუთეს ჩუმად ჩაესმა:
"ბებიას უყვარს ჩაის სმა".

ეს რომ გაიგო, ბაგეზე,
მოადგა ჩუმი სიცილი,
მეექვსეს უთხრა: "წამოდი,
ვნახოთ ბებიას წიწილი".

მეშვიდემ, მერვე და მეცხრე,
შემდეგ მეათე აცდუნა:
"წიწილა გაუტაცნია
მარსიდან მოსულ კაცუნას".

ასე დამთავრდა თამაში,
დღესაც არ ყოფნით სიცილად,
თუ როგორ "მოხვდა" კოსმოსში
ყვითელნიკარტა წიწილა.

ძალა ერთობაშია



ასკინკილა, კინკილა,
კრუნს ჰყავს ათი წიწილა,
დედას არ შორდებიან,
ფეხში ებლანდებიან.

სად იყო და სად არა,
ქორმა შეჰკრა კამარა,
ეზოს უწყო თვალთვალი,
გამოიბა ცხრა თვალი.

ახმაურდნენ ბავშვები:
"არ ვართ ქორის გამშვები,"
მეზობლებიც შეჰყარეს,
გადმოდითო ჩვენს მხარეს.

პაპამ თოფი გამართა,
ჩაუსაფრდა მარანთან,
ბებომ მორთო კივილი,
დაავიწყდა ტკივილი.

რეზოს მოაქვს შურდული,
გიას კარის ურდული,
ირას ბადე საჭერი,
ვახოს რკინის ნაჭერი.

ქორს წაუხდა გუნება,
შეიკავა ცლუნება,
არ სურს მარცხი იგემოს
და გაშორდა იმ ეზოს.

სამაია

ბავშვებო, ხელავთ სურათზე,
ირინას, ნინოს, სალომეს,
ილიმებიან სულ ასე,
კოხტად ირგებენ სამოსელს.

სამი წლისაა სამთავე,
ხარობდეს მათი სამება,
არა ჰქონოდეთ სათავედ,
სიკეთის გარდა სხვა ნება.

ამ ცუგრუმელებს, საკვირველთ,
ასრულებოდეთ ოცნება,
იზარდონ, ქვეყნად დამკვიდრდნენ,
მხატვრებად, მწერალ-მგოსნებად.

პროფესია

თინას უნდა გამოვიდეს,
კარგი მასწავლებელი,
ხოლო შოთას სურვილი აქვს,
მართოს მატარებელი.

ირას ნიბლავს ექიმობა,
რეზოს ასტრონავტიკა,
შეაყვარა ლევანს თავი,
ზუსტმა მათემატიკამ.

დღე და ღამე ფიქრობს სოფო,
გახდეს სწრაფი მქსოველი,
დაკვირვებით სწავლობს სოსო,
ინჟინრობას მოელის.

მიკროსკოპი შეიყვარეს
ხათუნამ და გოგიამ,
ნიკას მოსწონს ზეინკლობა,
ნონას ბიოლოგია.

გიორგის კი ენატრება,
გახდეს კომბაინერი,
გადამკას და გადასეროს
ამერი და იმერი.


მფრინაობას ელტვის დათო,
ტანკისტობას თამაზი.
პროფესია – პატარებო!
ყველა არის ღამაზი.

ბებოს ჩურჩხელა

ნიკა სოფლად წასვლას
ეთანხმება უთქმელად,
ძლიერ უყვარს რა ქნას
ბებოს ტკბილი ჩურჩხელა.

ზოოპარკში

ზოოპარკში წაიყვანეს
ხათუნა და ნათია,
ცოცხლად ნახეს ყველაფერი,
რაც წიგნებში ხატია.



თოჯინა

ეს თოჯინა ვინ შეკერა,
ვინ მოქარგა კაბის კალთა,
წინდები ვინ მოუქსოვა,
ვინ მორგო თეთრი ბაფთა?

ბაფთა ანამ შეარჩია,
ლელამ შემოქარგა კალთა,
წინდები კი მოუქსოვეს
ტყუპმა დებმა – ეკამ, თამთამ.

ყურშა

მთიდან მოჰქრის ქარივით
გია თხილაშურებით,
ყურშა გვერდში მიჰყვება
აწკეპილი ყურებით.

ვინ იქნება მეკვლე?

ხათუნამ ცეკვა ისწავლა,
ყოველდღე გვართობს "მაზურკით",
პაპასთან მეკვლედ ის წავა,
გოზინაყით და ნაზუქით.


ბაკურიანში

ჩუქუ-ჩუქუ, ჩუქუ-ჩუ,
ქშინავს მატარებელი,
არემარეს ამშვენებს,
თოვლის საფარებელი.

ბაკურიანს, სულ მალე,
მოვედებით ჟივილით,
ჩვენს ჩამოსვლას ვაცნობებთ,
ორთქლმავალის კივილით.

მზეზე გავირუჯებით,
ავივსებით სიცოცხლით,
ტანს დავიზელთ აღრიან,
თოვლითა და ცივი წყლით.

დავბრუნდებით სკოლებში,
სწავლის დიდი სურვილით,
სანუკვარი სამშობლოს
სიყვარულის წყურვილით.



უზრუნველი კურდღელი

დაკუნტრუშობს კურდღელი,
არ აწუხებს შიმშილი,
ხის ქერქს ტყეში რა მოლევს,
არ სჭირდება წისქვილი.

ფეხები აქვს ქარივით,
(რალად უნდა თილისმა)
შიში არ აქვს მტაცებლის
და არც მონადირისა.

ციყვი

ციყვმა ხანგრძლივ ზაფხულში,
სიმშვიდით, დადინჯებით,
ამოავსო ფულურო
სოკოთი და გირჩებით.
ზამთრის არ ეშინია,
უხვად ხვდება მეგობარს,
საჭმელი აქვს იმდენი
მთელ წელიწადს ეყოფა.



შეეცოდათ პატარა ძმა

პაპამ ტყეში წაიყვანა,
თამარი და ოთარი,
კალათებში შეაგროვეს,
მაყვალნი და მოცხარნი.
მერე ბებომ შეასწავლა,
გაკეთება მურაბის,
მათ შრომას თვალს ადევნებდა,
გაბუტული ზურაბი:

"დამაცადეთ, გავიზრდები,
თან წავიყვან მეზობელს,
იმდენ კენკრას ჩამოვიტან,
რომ ეყოფა მთელ სოფელს".
შეეცოდათ პატარა ძმა,
და შეჰპირდნენ ფერებით,
ტყეში ხვალვე წაიყვანდნენ
მისი ჯოხის ცხენებით.

ნათიას ჩივილი

მიმაღავენ სარძევეს,
ვჭამ ვაით და ვიშითა,
საკვებს ფრთხილად მაძლევენ,
აღერგის შიშითა.

მისგან მომდის კანკალი,
რაც, რომ აკრძალულია,
ღედა, მომეც კაკალი,
ეს არც ისე რთულია.

მეკვლე

ახალი წლის ღამე დადგა,
არა სძინავს თათიას,
სარდაფის და სხვენის გარდა,
შუქი ყველგან ანთია.
ნაძვის ხეს და თოვლის პაპას,
შესციცინებს თვალებით,

სიფრიფანა ღამაჲ კაბას,
უმშვენებენ ხალები.
მეკვლე აბა სად ვეძებოთ,
თვით მოვიდა ცქრიალა,
შევსვათ მისი სადღევრძელო,
მომაწოდეთ ფიალა.



ძალღი

თოვლის კალო იღეწება,
ძალღს ეზოში აკანკალებს,
სახლში შესვლას იხვეწება
და ბრჭყალებით ფხაჭნის კარებს.

თოვლის პაპის მოლოდინში

ირინემ კაბა მოარგო,
ახლად შეკერილ თოჯინას,
მამამ ნაბვის ხე მოაწყო,
ღელა ამზადებს გოზინაყს.

თოვლის პაპაა, თუ ჯინი,
ხმა ისმის ნაბიჯ-ნაბიჯად,
და ბრგე მოხუცმა ხურჯინით,
ოთახში შემოაბიჯა.

კეთილი პაპა თავისას,
ყველას მიართმევს საჩუქარს,
წვერზე ხელისგულს გადისვამს,
მერე გაჰყვება სხვა ქუჩას.

ჩიტი

თუ გინდა, რომ ყოველ დღით
შენ სარკმელთან,
ჭრელი ჩიტი მოფრინდეს და
მოგიკითხოს,
დაუყარე მარცვლეული
შესაკენკად,
საყვარელი მეგობარი
იყოს თითქოს.

"ბურთამ" თქვა

(ნინო ნადირაშვილს)

მესამედ ვხვდები ახალ წელს,
პირველი ორი არ მახსოვს,
ბევრს არ ვისურვებ არაფერს:
ღმერთმა სიკეთით აგვავესოს.

თევზაობა



სათევზაოდ წაიყვანეს,
ზურიკო და აჩიკო,
მამამ ანკესი გაუწყო,
ჭიაყელაც მზად იყო.

ღიღი თევზი გამოება,
აჩიკოს წვრილ ნემსკავზე,
"გინდ მოვხარშავ, გინდაც შევწვავ"
ფიქრობს თავის ნებაზე.

მაგრამ თევზი ვერ დასძლია,
(ჭქონდა თითქოს ცხრა ტანი),
შეტორტმანდა და ცივ წყალში,
მოაღინა ტყაპანი.

დასასვენებლად

დაიწყო არდადეგები,
შეწყდა სწავლების ხსენება,
სკოლები, ბაგა-ბალები,
წავიდნენ დასასვენებლად.

ზოგს მოსწონს ზღვისა სავანე,
ზოგსაც მთის ლალი ბუნება,
ჩვენს მამულს – კოხტას, საყვარელს,
კუთხე არ დაეწუნება.

ჩემი ძამიკო

ჩემს ძამიკოს პატარას,
უყვარს ხატვა ფერებით,
ჩიტსაც ხატავს, კატასაც,
თუკი მოვეფერებით.

შეინახავს ხის ფარ-ხმალს,
ბაღს დახატავს, ღობესაც,
იბუტება – მის ფანქარს,
წვერი სტყდება როდესაც.

ფინია

მთვარეს უყეფს ფინია,
ო, რა გაბედულია,
არვის არ ეშინია,
ეზოს ყარაულია.



ირინეს დაბადება

(ვუძღვნი შვილიშვილს)

მოუთმენლად გელოდნენ,
დედიკო და ძამიკო,
რატომ დაიგვიანე,
თქვი მიზეზი რა იყო?

აღბათ უკვე იცოდი,
რომ ზამთარი დგებოდა,
დედის სითბოს ვერ თმობდი,
ტკბილად ჩაგძინებოდა.

თათიას

(ვუძღვნი თათია ნადირაშვილს, დაბადებულს 1994 წელს)

ლალობ და კოხტად კუნტრუმობ,
უკვე ორ საუკუნეში,
ჩვენს გულებში გაქვს ადგილი,
როგორც ჩიტსა აქვს ბუდეში.
შენ დიდი სიყვარული ხარ,
სიამაყე და ნუგეში,
ყელმოღერებით გეცხოვროს,
კიდევ ერთ საუკუნეში.

წელიწადი

ყველამ იცის – წელიწადში,
სულ თორმეტი თვეა მხოლოდ,
იანვართ იწყება და
დეკემბერი არის ბოლო.

იანვარის დიდ თოვლობას,
თებერვალიც ემატება,
მარტში ენძელა ამოდის,
აპრილში კი დღე გათბება.

მაისშია სილამაზის,
და ვარდების ფერთა წყება,
თუმცა წვიმაც ხშირად იცის,
ასეთია მისი ნება.

ივნის-ივლისში იწყება,
არნახული ფაცი-ფუცი,
გაჩაღდება ხორბლის მომკა,
და კალოზე ლაწა-ლუწი.

აგვისტოში მზე ბრწყინვალეებს,
და ყველაზე უფრო ცხელა,
შაქარი კი ხილ-ბოსტანში,
ბუდეს იღებს ნელა-ნელა.



გიხაროდეთ ბავშვებო,
დიდი თოვლი მოვიდა,
თოვლის პაპას აღმართავთ,
როცა მოხვალთ სკოლიდან.

ხელში ცოცხი მიეცით,
გაუკეთეთ წვერები,
დაგიჯერებთ ყველაფერს,
თუკი მოეფერებით.

პაწაწინა ირინეს

(შვილიშვილს)

გაუხარე გული ლელას,
დაუმშვიდე სული რეზოს,
სიხარული მიეც ყველას,
შენს სახლსა და მწვანე ეზოს.

სექტემბერში იწურება
"რქაწითელი", "ოჯალეში"
იმართება ქორწილები,
ძირძველ ქართულ ოჯახებში.

ამავე თვეში ზარის რეკვით,
სკოლა იწვევს ცოდნის მძებნელს,
პატარები თაიგულებს,
მიართმევენ მასწავლებლებს.

ოქტომბერში გაყვითლდება,
ხის ფოთლები, ტყე-ველები,
ჭირნახულით აივსება,
მარნები და ბელელები.

ნოემბერში აცივდება,
დაიპობა შეშის გროვა,
ყველა გრძნობს და ყველა ხელავს,
რომ ზამთარი მალე მოვა.

დეკემბერში – შემოდგომის,
კვალი სულაც წაიშლება,
და თვის ბოლოს საახალწლო,
სუფრა ყველგან გაიშლება.

თოვლი მოვიდა

გაუკეთეთ სტაფილოს,
ცხვირი გრძელი, მსუბუქი,
თავზე ვედრა დახურეთ,
დაჭეჭყილი თუნუქის.

ლევანი

დედიკოს ვგავარ თვალებით,
კაცურ სიკეთით – მამიკოს,
საჭმელს ვჭამ წვალეზ-წვალეზით,
გინდ გემრიელი რამ იყოს.

დიდ პატივსა ვცემ ხილეულს,
სულ არ მჭირდება ფიქრები,
გუშინ მეძახდნენ მილეულს,
ხვალ დიდი ბიჭი ვიქნები.

თუმცა ხათრი მაქვს ბავშვების,
გოგის, ზურასი, რეზოსი,
სულ მალე ყოჩად დავჯდები,
ჩვენს ბავშვებმრავალ ეზოში.

ჯოხის ცხენი

ძლიერ უყვარს ვახუშტის
"ომობანას" თამაში,
ხის ორპირა ხანჯალი
გაჩრილი აქვს ქამარში.

თავზე ქუდი ახურავს
გაჭეჭყილი ტაშტისა,
ჯოხის "ცხენზე" შემჯდარი
აღმა-დაღმა დახტისა.



ექიმი და ხატია

სამკურნალოდ დაუნიშნეს,
ექიმებმა ხატიას,
საყლაპავი, საწუწნავი,
და ნემსების პარტია.

ფუნჩულ-პუტკუნ თითებს ითვლის,
ხან ცოტაა, ხან მეტი,
ზუსტად მაინც ვერ განსაზღვრა,
რამდენია თვრამეტი.

ბავშვურად კი გული უგრძნობს,
ბევრი ჩხვლეტა შეხვდება,
ამუშავებს პატარა ტვინს:
"რამე თუ მოხერხდება".

მერე დედას შეაგება,
ცრემლიანი თვალები;
"თუ ხარ ჩემი მეგობარი
ნუ დამტანჯავ წვალეზით.

ექიმს ვეტყვი – დამიჯერებს,
არ იქნება უარზე,
რაც ნემსები დამინიშნა,
რომ გავიყოთ შუაზე".

პატარა ნინო

მორჩილი არის გვრიტივით,
რა მოვიწონოთ სხვა – უფრო,
ჯერ პატარაა. ჩიტივით,
სულ თავის ქნევით "საუბრობს".

კვლავ "ილა-ილას" ეძახის,
საყვარელ ირა ბებიას,
კუნწულა დაეკიდება,
იმხელა წამწამები აქვს.

ჭყვიტინ-ღრუტუნ-კრუტუნ

ბუნებამ შექმნა ყოველი,
ხმა მისცა მას და მისთანებს,
მწერი, ფრინველი, ცხოველი,
ყველა საუბრობს თვის ხმაზე.
ყველას გსმენიათ ბავშვებო,
კატა როგორა კრუტუნებს,
ღორი კი გაუმაძღარი,
რა საზიზღრადღა ღრუტუნებს.
ქათამი, როცა კვერცხსა სდებს,
კაკანებს თავგანწირული,
ჩიტი ჭიკჭიკებს საამოდ,
გვეონია ძილისპირული.
გოჭი, საბრალო გოჭუნა,
შესაბრალისად ჭყვიტინებს,
წივწივი ახასიათებთ,
ყვითელნისკარტა წიწილებს.
თხა კლდეზე აფოფხებული,
კიკინებს გაუთავებლად,

ლომის ღრიალი ცას სწვდება,
თუკი მახეში გაება.
ძალლი – ოჯახის ერთგული,
ყეფს, როცა საქმეს სჭირდება,
ყვავი კი თავზე დაგვჩხავის,
არაფერს არ ერიდება.
ცხენი – ცნობილი გონებით,
ვერ ეგუება ორპირებს,
სიკეთეს გამცნობს ფრუტუნით
ჭიხვინით გლეჯავს ბორკილებს.
არავის მოსწონს კალიის,
შეუწყვეტელი წრიპინი,
და თვალეზადმოკარკლული,
გომბეშობის ყიყინი.
ძროხა დღედაღამ იცოხნის,
არაფერს არ აზიანებს,
ბღავილს ატეხავს საშინელს,
საჭმელს თუ დაუგვიანებ.



მზეწვია

ჩიტი მოფრინდა ჭიკჭიკით,
მეგობარივით გვეწვია,
ბუმბული ჰქონდა თივთიკი,
სახელად ერქვა მზეწვია.

ღარჩა სულ რაღაც სამ-ოთხ დღეს,
გული დაგვწყვიტა პატარებს,
ნეტავი კიდევ გამოჩნდეს,
გავხსნით ცხრაკლიტულს, ცხრა კარებს.

სურამში

სურამი მომწონს ძალიან,
აქ არის ჩემი ბებიაც,
ბავშვებიც ბევრნი არიან,
რაც მეტად შესაქებია.

რაც ჩამოვედი, მას მერე,
ლამის დამასკდეს ლოყები,
როგორ მაჭმევენ, მასმევენ,
ჩავალ გორში და მოყვები.

ჰაერი, კარგი ბუნება,
ჩემზე ზრუნავენ დიდები,
მაქვს მზიარული გუნება,
ტყეში გალობენ ჩიტები.




ჩვენი ბინის მერცხლები

თოვლს მოსვლა არ აცალეს,
თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ,
თვალცრემლიანს – ჭიკჭიკით,
დაბრუნებას დამპირდნენ.

გაზაფხულიც მოვიდა,
ლამაზ-ლამაზ ფერებით,
დათვებს ძილი დაუფრთხო,
გააღვიდა მწერები.

მწვანე ფერი მოჰფინა,
მინდვრებსა და ვენახებს,
სითბო გადმოაღვარა,
ირგვლივ თითქმის ყველაფერს.

აივანზე ვთამაშობ,
ლოდინისგან ვერ ვცხრები,
როდის დაბრუნდებიან,
ჩვენი ბინის მერცხლები?!



ჩაეძინა

ფანტასტიკა უყვარს გიას,
კოსმოსური ამბებიც,
სკოლაში ხომ კარგად სწავლობს,
სახლშიც არის გამგები.

აი, ახლაც ლოგინში წევს,
ღამე არის უქმე დღის,
უცნაურის მოლოდინში,
ცისფერ ეკრანს უცქერის.

სადღაც, შორით, სიბნელეში,
დედამიწა ტრიალებს,
"სატურნი" კი თავის რგოლით,
განუწყვეტლივ ბზრიალებს.

რობოტები მიმოქრიან,
უსასრულო სივრცეში,
არა სცივათ სიცივეში,
არა სცხელათ სიცხეში.

მერე "მარსი" ამოცოცდა,
ბორცვებით და ხვრელებით,
საიდანღაც მოგრიადდნენ,
უცხოპლანეტელები.

გაიმართა სჯა-ბაასი,
ქოთქოთი და ყაყანი,
მერე ატყდა თოფების და
ტყვიამფრქვევის კაკანი.


... ..

... ..

დედიკოს ხმა ჩამოესმა,
რაკეტების სროლაში:

"გაიღვიძე, უკვე დროა
რომ წახვიდე სკოლაში".

ხათუნა და ჩიტი



ძვირფასო ჩიტო-ჩიორავ!
კმაყოფილი ხარ ბედისა?
ფანჯარას, რომ მიკაკუნებ,
რა მესმის შენი ენისა?

ჩიორამ პირი გააღო,
გადახსნა მაკრატელივით,
მარჯვნივ და მარცხნივ იქნია,
ბალახის საჭრელ ცელივით.

მიხვდა ხათუნა გასაჭირს,
ჩიტი მშვიერი ყოფილა,
და დაუყარა საკენკი,
ხის ვებერთელა გობიდან.

მას შემდეგ ჩიტი-ჩიორა,
ხშირადა სტუმრობს ხათუნას,
სიამოვნებით მიირთმევს,
რამდენიც უნდა, რაც უნდა.

დაბადების დღე

გამარჯობა ჩემო კარგო,
დღეს რა მშვენიერი ხარ,
ლაღად ცეკვავ, სხარტად ხტუნავ,
და საამოდ მღერიხარ.

მან კი თვალი ამარიდა,
(ნეტავი რა ხდებოდა?),
როგორც დედამ დაარიგა,
ის მილოცვას ელოდა.

რაო, გოგო – რატომ ტირი,
წარბები რად შეჭყარე?
ხომ იცი, რომ გასაჭირში,
ყოველთვის ვარ შენ მხარეს.

"ლამაზ სიტყვებს არადა ვთვლი,
არ მინდოდა ავის თქმა,
დღეს მე ხუთი წლისა გავზდი,
მოლოცვა დაგავიწყდა."

მაპატიე, ჩემო კარგო,
შენზე კარგად ვის ვუგებ?
მოგილოცავ იუბილეს,
და მრავალ წელს გისურვებ.

რემონტი

ვახო პაპამ ჩამრთველები შეარჩია,
შესაფერი კედლისა და ჭერისაო,
შვილიშვილმა მოსწრებულად დასვა კითხვა:
"სად იშოვე ეს ბოლოკის ფერისაო".

ფერადი ფანქრები

თათიკუნას ფერად ფანქრებს,
ოთხი ცალი აკლია,
ხვალ უთუოდ უყიდიან,
ლამაზადაც გათლიან.

მას ხომ ხატვა უყვარს სახლის,
ყვავილის და პეპელის,
ფრთებს ლამაზად მოუქარგავს,
მრავალფერად შეფერილს.

მერე ბურთსაც შემოხაზავს,
ჩაიდანსაც, ტაფასაც,
ნახატებით გაახარებს
ბაბოსაც და პაპასაც.

საქანელა

მოეწყინათ ჭრელი ბურთის გორაობა,
სწავლის შემდეგ დრო გაჰყავდათ წვალეებით,
რა საქმეა – ხელი მიჰყონ ჭორაობას,
იფიქრეს და მიიხმარეს მამები.

კაკლის ხეზე ჩამოაბეს საქანელა,
გამამგრეს დაგრეხილი თოკებით,
აქანებენ ხან ჩქარა და ხანაც ნელა,
ირხევიან შეფოთლილი ტოტები.



კარუსელი

დატრიალდა კარუსელი
ჰერი, ჰერი!
პატარების ჟრიაძულვი
მისწვდა ზეცას,
ანას შეხვდა სირაქლემა
თეთრი ფერის,
კისერს რაღაც უცნაურად
ხრის და ბრეცავს.

ირინას კი მოეწონა
ზებრა – ცხენი,
უნაგირზე აოკალათდა
მოხდენილად,
თვითმფრინავმაც ჩაიქროლა
სტვენა-სტვენით,
ნინო იჯდა სავარძელში
კონტად, რბილად.

კარუსელმა იტრიალა,
იტრიალა,
და ბავშვებმაც სიმაღლეზე
იგრძნეს შეება.
არც უკვირდათ, არც შეშინდნენ,
ის კი არა,
აღარ სურდათ მათ მიწაზე
ჩამოშვება.

ბარდნის

თოვლი მოდის, ძლიერ ბარდნის,
ეფინება ვენახებს,
აღარა ჩანს ბუჩქი დაფნის,
ირგვლივ ფარავს ყველაფერს.

თუმცა ბავშვებს ვერ აშინებს,
შეფუთულან ქურქებში,
თოვლის პაპა აღადგინეს
მოფარებულ კუთხეში.

მოეფინნენ ეზო-ყორეს,
ყიჟინით და როკვებით,
ცივ ჰაერზე აუწითლდათ,
საკოცნელი ლოყები.



ნამცხვარი

ირა ბაბო ნამცხვარს აცხობს,
ჩემთვის არა სცალია,
არ ვუწყრები, რადგან მისი,
ტორტი მიყვარს ძალიან.

სათამაშო სახლები

ქვიშის გროვასთან ბავშვები,
დახტიან, დაფუსფუსებენ,
ნიჩბებით მომარჯვებულნი,
ერთმანეთს ვედრებს უვსებენ.

ხის ძირში ძია შალიკო,
ფიცრებსა ხერხავს ზომაზე,
მიჭრა და მოჭრა რაც იყო,
წყობა დააწყო წყობაზე.

"ძია შალიკო, მონაჭრებს,
ნულარ გადაყრი ნაგავში,
მოგვეცი — სახლს ავაშენებთ,
და გავერთობით თამაშით".

მიიღეს, რაც რომ ისურვეს,
კეთილ ღიმილის თანხლებით,
და ჩაამწყრივეს ქვიშაში,
ულამაზესი "სახლები".

ბახი-ბუხი, ბრახი-ბრუხი

ბახი-ბუხი, ბრახი-ბრუხი,
ჩააბარეს ნიკას კრუხი.
ბალა-ბალა, ვალა-ვალა,
წიწილებიც მიითვალა.

ინდი-მინდი, ფერად-შინდი,
დაუყარა მათ სიძინდი.
ბარი-ბორი, ბარი-ბორი,
მოატარა ველ-მინდორი.

ბია-ბუა, ბია-ბუა,
შეაჭამა ჭია-ლუა.
აატარა, ჩაატარა,
ისევ ბაბოს ჩააბარა.

სათამაშო კატა

გამარჯობა, პატარავ,
გიძღვნი გულთბილ სალამს,
შენ მოგართმევ, სხვას არა,
ფანქარსა და კალამს.

"მადლობთ, მაგრამ რა ვუყო?
ვერცა ვწერ, ვერც ვხატავ,
მირჩევნია მარუქოთ,
სათამაშო კატა".

კარგად ახსოვს, ძალიან,
რაც ინატრა გუშინ,
მზიან დილაადრიან,
ჩაახუტეს გულში.

უხუჭავდა თვალებს და,
უსინჯავდა თათებს,
შეკითხვა აწვალებდა:
"თუ დაიჭერს თაგვებს".



პატარა ფეხბურთელები

შეიკრიბნენ უბნელები,
ფეხბურთი რომ მოუნდათ,
"არჩევანი – არადანით",
განაწილდნენ ორ გუნდად.

ირბინეს და გაიოფლნენ,
დალლა არ ემჩნეოდათ,
მზე ჩავიდა, ჩამობნელდა,
არ კარგავდნენ მხნეობას.

გოლი ყველამ გაიტანა,
ვინ ნაკლები, ვინ მეტი,
ანგარიში დაითვალეს:
"ოცდაოთხით – ჩვიდმეტი".

მზეო, მზეო!

მზეო, მზეო, შენი ცეცხლით,
თბება წყლები, მიწები,
ზაფხულში, რომ გულუხვი ხარ,
ზამთარში გავიწყდებით?

გთხოვ, სხვაგვარად იტრიალო,
და სხვა მოგვცე ნათება,
რომ არასდროს არ დაგვჭირდეს,
ნათურების ანთება.

მაკას ფინია

ნიკა მაკას ეკითხება:
"ძაღლისა გეშინია?
თუ ასეა, მაშინ სახლში,
რატომა გყავთ ფინია?"

მე ფინია ძლიერ მიყვარს,
ავდარი, თუ დარია,
ოჯახში გვყავს იმიტომ, რომ
ჩვენი მეგობარია.



მტვერსასრუტი

დედა, მე დღეს შრომა მინდა,
ხომ ჩამირთავ მტვერსასრუტს?
ჩემი და რომ მხარში ვიდგას,
დანმარება მეცა მსურს.

—"იატაკზე ფორთხავ მუდამ,
დაემსგავსე მენაგვეს,
მტვერსასრუტი ვის რად უნდა?
ტანითა წმენდ ყველაფერს".

პაპანაქება



ბურთი

ბურთმა იხტუნა ციყვივით,
გვერდები სულ დაეზილა,
მერე დაქანცულს სირბილით,
ირას კალთაში ეძინა.

ცხელა, მართლაც ძლიერ ცხელა,
ბული ასდის მიწას,
შვებას აძლევს დიდი რცხილა,
ჩრდილი უყვარს ვისაც.

სუნთქვა უჭირს ცხვრების ფარას,
მწვემს გამრჯეს და მაშვრალს,
მტვერი ადევს სოფლის შარას
გამხმარსა და გამშრალს.

არემარე განაბულა,
კალიაც კი უტყვობს,
ცელქი თევზი "სალამურა",
ყველას წყლისკენ უხმობს.

ნიკას აინტერესებს



ნიკა დედას ეკითხება
(კვირას, დილაადრიან):
"ასე მითხრეს მთვარე და მზე,
თითქოს და-ძმა არიან.

თუ ასეა, ამიხსენი,
ნუ დამტოვებ დარდიანს,
რატომ არის, რომ ცის თაღზე,
სულ ცალ-ცალკე დადიან"!?

ქუჩაში

ასობით დაჰქრის მანქანა,
ყველა ჩვენგანის გარშემო,
ქუჩებში, გადასასვლელზე,
სიფრთხილე გმართებთ ბავშვებო.

თვალი ადევნეთ შუქნიშანს,
წამითაც ნუ მოდუნდებით,
სულ სამი მრგვალი შუქი აქვს,
როგორც საპურე გუნდები.

ყვითელი ფერი — გახსოვდეთ,
მზადება არის ნებართვის,
მწვანე ფერი კი გვანიშნებს:
"გზა გახსნილია ყველასთვის".

წითელ ფერზე კი — იცოდე,
ბურთივით ნუ აგორდები,
ნაბიჯს არსაით გადადგამ,
მწვანე შუქს დაელოდები.

თინიკო მიყავთ ბაგაში

ბაგაში მიყავთ თინიკო,
ფეხებს ძლივს მიაზოზინებს,
მას ურჩევნია შინ იყოს,
და ეთამაშოს თოჯინებს.

მიყავთ და ფიქრი აწუხებს:
(ცრემლები მოსდის სამპირად)
"კარგი იქნება ყოველდღე,
შაბათი იყოს ან კვირა".


როცა გაიზრდება

ფერად ფანქრებს უფროთხილდება,
ხატვა უყვარს ლევანის,
გუშინ საზამთრო დახატა,
დღეს კი ყურძნის მტევანი.

როცა დიდი გაიზრდება,
შეკრებს თანამზრახველებს,
გამოფენას მოაწყობს და,
გაახარებს მნახველებს.

გელა და შველი

ერთხელ მამას – მზიან დილით,
ზოოპარკში ყავდა გელა,
ნახეს: ვეფხვი, სპილო, ვირი,
და ძელია კუდაგრძელა.



თუთიყუში იჯდა წყნარად,
ბეჭემოთი თითქოს თვლემდა,
ციყვი ხტოდა ჩქარა-ჩქარა,
ნასროლ თხილს და კაკალს კრეფდა.

შეეცოდათ მდგარი კენტად,
შველი თვალეცრემლიანი,
იღვა მშვიდად – სხვებზე მეტად,
გამხდარი და სევდიანი.

ამის შემდეგ – ყოველ დილას,
გელა ბალახს გლეჯდა ველად,
და მიჰქონდა სახემლიმარს,
შველთან საჭმელ-საცოხნელად.

შეუყვარდა შველსაც გელა,
შორიდანვე შეამჩნევდა,
და მადლობის სანიშნებლად,
თავს მიწამდე დაიქნევდა.

ჭიამაია

დედა, დედა, ნახე ხელზე,
გაზის ჭიამაია,
როგორ ბრწყინავს ნათელ მზეზე,
თითქოს დილის ნამია.

არ შეაკრთო, იჯდეს ხელზე,
დიდ საქმეს არ მოცდება,
შენ კი მხოლოდ ჩაიფიქრე,
ავისრულდეს ოცნება.

კოდალა



მოსპო მატლის კერები,
(ხეს ტოტი არ შეახმეს),
და კოდალას – ფერებით,
ტყის ექიმი შეარქვეს.

ფეხბურთი

არ სწყინდებათ ფეხბურთი,
ზურიკოს და გერმანეს,
გაოფლილი თავებით,
შეეჯახნენ ერთმანეთს.

და დროებით შეეშვნენ,
ხტუნვასა და კოტრიალს,
ვინაიდან ორივეს,
შუბლზე დიდი კოპი აქვს.

ვინ, როგორ

როგორც ჯოხის კაკუნი,
ისმის თხების ბაკუნი.
დათვი დადის ძუნძულით,
მელია კი ცუნცულით.

სოროების ამკლები
ციყვი დახტის თავნება,
კუზიანი აქლემი,
მძიმედ დაიზლაზნება.

ჟირაფს სწრაფი ფეხი აქვს,
დარბის მტრების ჯინაზე,
თავი ხის ფოთლებში აქვს,
ფეხები კი მიწაზე.

თქარა-თქურის ხმა ისმის,
ირმის დიდი ჯოგების,
ობობამ სხვა რა იცის,
დაბლადუნობს თოკებით.

კუს ცხოველად არ თვლიან,
ლოღვას არის ნაჩვევი,
ლამლამობით დაძრწიან,
ტურები და მაჩვები.

ღმერთმა მისცა კოჭებში,
ცხენს ჭენების გაძლება,
ავაზა ხის ტოტებში,
კატასავით დაძვრება.

პეპელა



პეპელაო, გთხოვ დამპირდე,
(სულ არ ვფიქრობ ხუმრობას),
ჩემთან დარჩე – დავაკვირდე
კარგად შენს ჩაცმულობას.

დედაჩემი ოდნავ ღელავს,
მზად აქვს ნემსი, მახათი,
კოხტა კაბას შემიკერავს,
შენი ფრთების ნახატით.

ციყვი ქორწილში

ქორწილში დაპატიჟეს,
ციყვი ხეზე მხტომარე,
ზამთრის მარაგისათვის,
ამზადებდა ტომარებს.

მერე ისე დაათვრეს,
აერია გზა-კვალი,
ვერ იქნა და ვერ ჭამა,
თხილი, რკო და კაკალი.



ცნობისმოყვარე

დედას ხშირად ეკითხება,
სულ მოძრაობს, არ ცხრება,
“ეს რა არის, ის ვინ არის,
ან ეს ასე რად ხდება?
“ვინ დაარქვა იას – ია?
გოგო არის ამხელა?!
რატომ ჰქვია მზიას – მზია,
ან ნათელას – ნათელა?!”
ია ჰქვია იმ დიდ გოგოს,
ვარვინ აგიხირდება,
ია ატკობს, ია – ხიბლავს,
იისათვის გიჟდება.

მზია მუდამ მზისკენ ილტვის,
მოსწონს მისი ნათება,
ნათელას კი სხვაზე მეტად,
უყვარს ციციანათელა.
მე თათია რატომ მქვია?
რაა, მიყვარს თათები?
ამიხსენი ჩქარა თორემ
უცბათ გაგიბრაზდები.
მოფერებით გეძახიან,
შენ თათიას – დიდები,
თუმცა ალბათ გიყვარს თათი,
სულ პირში გაქვს თითები.

დაბადების დღე

ტორტს სანთლები მოარგეს,
დაამშვენეს მაგიდა,
ის ირინეს მოართვეს,
დეიღამ და პაპიღამ.

სუფრას დედა უშლის და,
თითქოს დედოფალია,
ჩვენი ეზოს, უბნის და
სადარბაზოს თვალია.

არ გვჭირდება მკითხავი,
შენ დღეს ოთხი წლისა ხარ,
ყურში ჩუმად გვითხარი,
მთვარისა თუ მზისა ხარ.

"ხუჭუმალობანა"

"ხუჭუმალას" თამაშობდნენ,
ირინა და რეზიკო,
რა ქნან – ახლა არ სცალიათ,
მამიკოს და დედიკოს.
დაიხუჭა ირიკუნა,
თვალზე ხელი ეფარა,
რეზიკო კი მას ზურგს უკან,
ჩუმად ამოეფარა.

ყველა ოთახს, ყველა კუთხეს,
მიაშურა ირინამ
ვერ იპოვა, თუმცა ბევრი,
ეძება და ირბინა.
სადაც წავა, უკან დასდევს,
რეზიკუნა – ანცია,
არც ფეხის ხმა ისმის მისი,
ფაჩუჩები აცვია.

დააყენეს კუთხეში



რატომ ართმევ ანას ყურძენს?
ქვებს რად ესვრი პატარებს?
ბაგა-ბალში, სამ თუ ოთხ წელს,
სულ ტყუილად გატარეს?
შეგვეჯიბრე, თუ გსურს ნიჭით,
ნუ უხეშობ – აჩიკო!
შენისთანა ცელქი ბიჭი,
ამ ეზოში სხვაც იყო.
მაგრამ მამა გაისარჯა,
დააყენა კუთხეში,
მკაცრად მიტომ დაისაჯა,
რადგან იყო უხეში.

ჩემო ტკბილო სამშობლოვ

გეტრფი ჩემო სამშობლოვ,
გეფიცები დედიკოს,
გულით გეალერსები,
გინდ ღამე, გინდ დღე იყოს.

მე ჯერ სულ პატარა ვარ,
ვანგარიშობ თითებით,
მიყვარს სურათიანი,
ზღაპრები და მითები.

როცა დიდი გავხდები,
თბილად მოგეფერები,
ლექსს დაგიწერ საქებარს,
და დაგხატავ ფერებით.

ჩურჩხელა

ტკბილ ჩურჩხელას სთავაზობენ ნათიას,
არ მიირთმევს გამხმარსა და წუნიანს,
კარგად იცის, რომ ზედმეტი ძაფი აქვს,
ნიგვზისა და ფელაძეშის სუნიანს.

და ერთხელაც იგი ღრმად რომ მოკბინა,
ძაფი ჩაძვრა კბილებს შორის – ტიალი,
ლამის იყო ორი კბილი მოგლიჯა,
ჩურჩხელამ კი ძაფზე იწყო ტრიალი.

ამოუღეს ძაფი სიტყვის უთქმელად,
გადაწყვიტეს ექიმს არ დაუძახონ,
ამის შემდეგ ნათია, თუ ჩურჩხელას
კიდევ შეჭამს – ალბათ მხოლოდ უძაფოდ.

"ბურთულა"

(კუძღენი 8 თვის ნინოს)

"ბურთულამ" თქვა: "ალარ მინდა,
ჭოჭიალა, "მანუი",
ვინმემ ხელში ამიყვანეთ,
ეზოში მსურს თარეში.

მართალია პატარა ვარ,
გუფთას კი ვჭამ მადაზე,
ორი კბილი უკვე წინ მაქვს,
ორსაც ველი ხვალ და ზეგ.

პირობას ვდებ – გაზაფხულზე,
ჩემი ფეხით ვიარო,
ვანო პაპას ბალ-ბოსტანში,
შრომა გავიზიარო.

დაიკოსაც გავაცილებ,
სკოლაში და ცეკვაზე,
პირველ ლექსს, რომ შევისწავლი,
ის იქნება დედაზე.



მელაკულა

ქათმის ხორცი მოენატრა,
გაიძვერა მელიას,
დაბნელებას დაელოდა,
მეტი რა საშველია!

გვიან, ღამით, ეშმაკურად,
გზას გაუდგა მთვარიანს,
კბილებს ჩუმად აკიწკიწებს,
ელანდება ვარია.

საქათმისკენ მიცუნცულებს,
ბალი შეხვდა ხეხილის,
ოღონდაც იქ არ დაუხვდეს
ყურმა კუდმოგრეხილი.

სიბნელეში რაღაც დიდი,
თავს დაესხა ღრიალით,
თათი დაჰკრა, მოისროლა,
თავ-ფეხ კისრის ტრიალით.

მიენარცხა ღობე-ყორეს,
როგორც პური თონეში,
ტანი ძლივ-ძლივ აითრია,
კუდი დარჩა ღობეში.





დედის დამხმარე

სათამაშოდ იწვევენ,
მეგობრები ნათიას,
შუადღეა ჯერ მხოლოდ,
მზე ცეცხლივით ანთია.

"გაკვეთილებს ვამზადებ,
მოვალ მოგვიანებით,
ხომ იცით, რომ არ მიყვარს,
სკოლის ორიანები.

მერე – დედას დავპირდი,
დავუბერტყო ხალები,
ბინის დალაგებაშიც,
ცოტას წავეხმარები.

წყალს დავუსხამ ყვავილებს,
და გავწმენდავ "სამოვარს",
ამის მერე – ბავშვებო,
სათამაშოდ წამოვალ

პატარა მასპინძელი

ანას სახლში ეწვია,
ეზოს ბავშვთა კრებული,
ითამაშეს, იმღერეს,
ლექსები თქვეს ქებული.

სოფოს მისცა თოჯინა,
რეზოს მატარებელი,
რეზუსები ამოხსნეს,
მეტად საწვალბებელი.

ბურთი შეხვდა ირინეს,
აგორა და ახტუნა,
ზღაპრის წიგნებს ჩაუჯდნენ,
გიორგი და ხათუნა.

მერე ჩამოურიგა,
კამფეტები სუყველას,
ვაშლიც არ დაივიწყა,
არც კახური ჩურჩხელა.

როცა მოსალამოვდა,
გააცილა ღიმილით,
პაწია ძმაც გამოჰყვა,
სლუკუნით და ტირილით.

თუმც არ იყო ქორწილი,
და არც სხვა რამ დღეობა,
ასე უნდა ბავშვებო,
სტუმართმოყვარეობა.

ცეკვის მოყვარული

საახალწლოდ რა გისურვოთ?
ჩემგან ნეტავ რას ელით?
კარგი სწავლით გაგახარებთ,
რომ ვიქნები კლასელი.

ახლა ცეკვებს ვეუფლები,
სულ არ ვდარდობ ფიზიკას,
ჩა-ჩა-ჩა და ნელი ტანგო,
სხვებზე მეტად მიზიდავს.

ვშრომობ, ვწვალობ, ჯერ არ ვიცი
რა იქნება შედეგი,
გოგო ვარ და გული მწყდება,
ცერებზე ვერ შევდგები.

სიხარბე

ტყეს გაუჩნდა დიდი ცეცხლი,
დაწიოკდნენ ცხოველნი,
გასაქცევად მოემზადნენ,
დიდ-პატარა, ყოველი.

გასწრებაზე ჰქონდათ სული,
სახლ-კარს არვინ ჩიოდა,
აქეთ დათვი ღრიალებდა,
იქით ტურა კიოდა.

ღორი სახლს ვერ შეეღია,
ხანძარს არად ავდებდა,
მწარე ბოლით იხრჩობოდა,
მაინც ტომრებს ავსებდა.

ტვირთს რომ ველარ მოერია,
ოქროს ყლაპვა დაიწყო,
ზოგიც სწრაფად, ფაცი-ფუცით,
ჯიბებში ჩაიწყო.

ყლაპა, ყლაპა, დამძიმდა და
ველარ შესძლო სირბილი,
უცებ თვალწინ წარმოუდგა,
გარდუვალი სიკვდილი.

ტაკაცა-ტაკუცით, ლაწა-ლუწით
ცეცხლი ტყეს მუსრს ავლებდა,
ცოცხალსა და უსიცოცხლოს,
ბუგავდა და არბევდა.



დატრიალდა მწვადის სუნი,
მოსაყოლად არცა ღირს,
იმ დღის შემდეგ ქუცუნია
არ უნახავს არავის.

რაც მოგივა დავითაო...

(იგავ-არაკი)

მაჩვი, ტურა, მაიმუნი,
მგელი, კატა, მელია,
შეიკრიბნენ, გადაწყვიტეს
საქმე საკვირველია.

ყველამ ცალკე ჩაიფიქრა,
შექმნას თავის პარტია,
წესდებებიც გამოაცხეს,
შეკოწიწდა ქარტიაც.

დაჯგუფდნენ და განცალკევდნენ,
ყფითა და ღრენითა,
ღვარძლი ბევრი დაანთხიეს,
ერთმანეთის ცქერითა.
მთელ წელიწადს იყაყანეს,
იჩხუბეს და იბრაზეს,
მიტინგები, გაფიცვები,
არ მოიკლეს, იმრავლეს.

შეურაცჰყვეს, დაამცირეს,
ახალგაზრდა, ხნიერი,
ზამთარი კარს მოადგათ და
ყველა დარჩა მშიერი.

შორენას თაიგულები



ამინდი იღვა მზიანი,
ჩიტი გალობდა დილიდან,
შორენა ბაფთებიანი,
დათა პაპასთან მივიდა.

"ხომ გსურს კეთილი, რომ იყო,
ვით ინდიელთა ბელადი,
წამოდი, ბალში მოვკრიფოთ,
ყვავილი ათას ფერადი.

დღეს ჩემ საყვარელ დედიკოს,
აქვს დაბადების საღამო,
და საჩუქარიც ეს იყოს,
ჩემგან მიძღვნილი საამოდ".

და შეიკრიბნენ სალხენად,
კეთილმოსურნე სტუმრები,
სუფრა გაშალეს სამ ფენად,
თავბრუ ესხმოდათ სურნელით.

სიმღერა როცა მოსწყინდათ,
ცეკვით იჯერეს გულები,
ყველას ძალიან მოსწონდა,
შორენას თაიგულები.

ცულლუტი მეგობარი

სკოლისაკენ წასასვლელად,
ემზადება ნოდარი,
ფეხთან ბურთი მიუგორდა,
ცულლუტი მეგობარი.

"ეზოში გთხოვ ჩამოხვიდე,
ვითამაშოთ მე და შენ,
გაკვეთილი გააცდინე,
არას ვეტყვი დედაშენს".

"ჩემო კარგო" – სთქვა ნოდარიმ,
"ახლა არა მცალია,
გაკვეთილებს ვერ გავაცდენ,
სწავლა ჩემი ვალია".


ესა სთქვა და ჩანთით ხელში,
ოთახიდან გავიდა,
ბურთი დარჩა გულნატკენი,
ცრემლი მოსდის თვალიდან.

გზას გაჰყურებს სევდიანი,
უთვალთვალებს შორიდან,
მოუთმენლად ელის ნოდარს,
როდის მოვა სკოლიდან.

ტყის ბინადართა შეჯიბრი

მზიან დილით შეიკრიბნენ,
ულრანი ტყის მხეც-ნადირნი,
ეს არ იყო არც ალღუმი,
არც ლხინი და არც ნადიმი.
ადგილები დაიკავეს,
რანგისა და მოდგმის დაცვით,
ლომს მარჯვნიდან ვეფხვი ეჯდა,
მარცხნიდან კი შავი დათვი.
მონსენება გააკეთა,
ფენმარდმა და ფლიდმა ტურამ:
"როგორ არის სპორტის საქმე,
რა დღეშია ფიზკულტურა.
ისე როგორც საჭიროა,
არ ვიღწვით და არ ვირჯებით,
და ამიტომ დღეს სუყველა,
სწრაფ სირბილში ვეჯიბრებით".
აზვირთდნენ და აბობოქრდნენ,
ფრუტუნით და ხტუნვა-ქაჩვით,
წინ გაიჭრა კურდღელი და
უკან დარჩნენ კუ და მაჩვი.
მერე მოხდა ის რაც მოხდა:
მგელმა კურდღელს გაჰკრა ეშვი,

სპილოს გული წაუვიდა,
ვეფხვმა წყალი ასვა პეშვით.
დათვმა მგელი ამოიღო
მიზანში და ჩასცხო ტორი,
დათვს ფუტკარი დაეხვია,
მილიონი ერთი, ორი.
რადგან თაფლი შეუჭამა
მოგროვილი ჩუმად ხეში,
ატყდა კვნესა, ოხვრა, ვიში,
ულამაზეს, ულრან ტყეში.
ზღარბი ფეხში გაეჩხირა,
ლომს არ მისცა გასაქანი,
სიმწრისაგან დაიგრიხა,
ძლივს მოსწყვიტა მიწას ტანი.
ვეფხვს შიმშილი აწუხებდა,
მიატოვა მარათონი,
ერთი მოსმით გადასანსლა,
ტურა, მაჩვი და პითონი.
ჩაიშალა შეჯიბრება,
საქმე მოხდა საკვირველი,
კუ მივიდა ფინიშამდე,
ერთადერთი და პირველი.



ჩემი ანგარიში!

თუქი ერთი დოქსი მაინც ისწავლო,
ვასხავეს - ვინდაც ფხიზდათხიზდა, ვინდა ვეძინოს,
ნა მოვწინის, ან ფიქრით რაზე იწვინდა,
მუშაობდა ვინა, რომ ვაძავეზინა.

მუხრანის 7777 ქართული ნაკრები

ვასილ ანანა

გორი, სტალინის 24/6;7-81-81

გარეკანის პირველ გვერდზე

- | | |
|---------------------|-----------------------|
| 1. ანა ჭანკოტაძე | 10. თემურ იორამაშვილი |
| 2. ნიკა ჭანკოტაძე | 11. თეონა ჯავახიშვილი |
| 3. გიორგი ჭანკოტაძე | 12. ზვიად ჯავახიშვილი |
| 4. ირინა ჭანკოტაძე | 13. მარიამ რაზმაძე |
| 5. გიორგი ჭანკოტაძე | 14. ნინო მაისურაძე |
| 6. თამარ ჭანკოტაძე | 15. ზიზი დათუაშვილი |
| 7. გიორგი ტრამაკიძე | 16. მარიამ აბულაძე |
| 8. ნიკოლოზ პაპავა | 17. ლიკა გოგლიძე |
| 9. თათია ლომიძე | |

გარეკანის მეორე გვერდზე

- | | |
|-----------------------------------|--------------------------------|
| 1. თიკა გოგლიძე | 11. ბონდო მაისურაძე |
| 2. დათო ბიძინაშვილი | 12. თამუნა ქარელი |
| 3. კოტე ბიძინაშვილი | 13. დათო ბაქრაძე |
| 4. აკაკი ბიძინაშვილი | 14. მაია ჩლაიძე |
| 5. მარიამ და სალომე ეგნატაშვილები | 15. მარიამ და ანა კუსრაშვილები |
| 6. ნიკოლოზ ქარქიშვილი | 16. გიორგი კუსრაშვილი |
| 7. ხატია და თათია ხორგუაშვილები | 17. ქეთი კუსრაშვილი |
| 8. კატო ქესანაშვილი | 18. სოფო და ნონა ჩუხრუკიძეები |
| 9. გიგა ქესანაშვილი | 19. ხათუნა ქერდიყოშვილი |
| 10. თეონა კეკოშვილი | 20. ანა ახალკაცი |

წიგნი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა
გამომცემლობაში "ფარნავაზი"

კომპიუტერული მომსახურება ი. მთიულიშვილი
კორექტორი ლ. გიგაური



